ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №7

15.02.2022 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ლევან ჯაფარიძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ირაკლი ეძგვერაძე, ბარბარა ჯიმელი სულაშვილი, სალომე კობალაძე, ვახტანგ სურგულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი);
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსის) მოადგილე;
3. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი);
4. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 10 თებერვლის №12-032204167-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი)/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 24 იანვრის №12-032202427-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 27 იანვრის №12-032202743-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 27 იანვრის №12-0322027160-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 3 თებერვლის №12-03220345-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5-21 დადგენილების და ასევე, 2019 წლის 19 აპრილის №41-31 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ დადგენილების პროექტების შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 3 თებერვლის №12-032203420-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 4 თებერვლის №12-032203518-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)/

8. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5-21 დადგენილების და ასევე, 2019 წლის 19 აპრილის №41-31 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ დადგენილების პროექტების შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 9 თებერვლის №12-032204063-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

9. **მიმდინარე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5-21 დადგენილების და ასევე, 2019 წლის 19 აპრილის №41-31 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ დადგენილების პროექტების შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 მარტის №12-032107744-03 წერილის დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული №01210703673-67 განცხადება) - ოქმს ერთვის

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 10 თებერვლის №12-032204167-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გაიოზ თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2022 წლის 1-ლი იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (74 779 500 ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, **იზრდება** საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები - 11 854 700 ლარით (მათ შორის 351 500 ლარი). ასევე, **იზრდება** მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 11 000 000 ლარის ოდენობით (ქალაქ თბილისის საკრებულოს 2021

წლის 27 დეკემბრის №4-12 დადგენილება და შპს „თბილსერვის ჯგუფის“ 2022 წლის 2 თებერვლის №62- 01220332655 წერილი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა **შეადგენს 1 392 079 000** ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება: გზების მშენებლობა და აღდგენის (კოდი: 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნება – 4 563 200 ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი: 01 02 01) – 15 600 000 ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი: 01 02 05) – 10 886 100 ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციის (კოდი: 02 01) პროგრამის ასიგნება - 11 069 300 ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი: 02 02) – 20 500 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (კოდი: 02 05) – 3 534 400 ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი: 02 09 01) – 2 081 300 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი: 02 09 11) – 1 000 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი: 02 09 17) – 2 000 000 ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობის (კოდი: 02 10) პროგრამის ასიგნება - 5 177 900 ლარი, **გამწვანების ღონისძიებები (კოდი: 03 01)** – 9 461 100 ლარით, **დასუფთავების ღონისძიებების (კოდი: 03 02)** პროგრამის ასიგნება - 24 612 600 ლარით, **ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის (კოდი: 03 03 01) ქვეპროგრამის ასიგნება** - 600 000 ლარით, **ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03 02)** - 1 200 000 ლარით, ბიზნესის სტიმულირების (კოდი: 04 01) პროგრამის ასიგნება – 503 800 ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის (კოდი: 07 01 02) ქვეპროგრამის ასიგნება – 7 444 300 ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი: 07 03 03) – 534 000 ლარით, საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი: 08 04 01) – 1 900 ლარით, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა (კოდი: 08 04 03) – 16 000 ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი: 08 04 04) – 138 200 ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი: 08 06 01) – 78 600 ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი: 08 06 03) – 3 163 000 ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება (კოდი: 08 06 04) – 9 183 700 ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი: 08 08 01) – 500 000 ლარით, ქ. თბილისის საკრებულოს (კოდი: 10 01) პროგრამის ასიგნება – 600 000 ლარით, მერიის ადმინისტრაცია (კოდი: 10 02) – 1 291 600 ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი: 10 18) – 540 900 ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი: 10 27) – 47 900 ლარით, საბურთალოს

რაიონის გამგეობა (კოდი: 10 32) – 44 600 ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი: 10 35) – 695 000 ლარით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი: 10 36) – 190 000 ლარით, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (კოდი: 10 43) – 26 600 ლარით, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური (კოდი: 10 44) – 33 900 ლარით.

ამასთან, ბიუჯეტში ემატება ახალი პროგრამები/ქვეპროგრამები: მეტროს სადგურების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი: 01 02 03) – 4 650 000 ლარი, საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი: 01 02 08) – 1 750 000 ლარი, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება (კოდი: 04 12) – 55 000 ლარი.

მცირდება გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი: 01 01 09) ქვეპროგრამის ასიგნება – 1 160 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი: 01 01 10) – 17 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი: 01 01 11) – 120 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი: 01 01 12) – 80 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი: 01 01 13) – 160 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი: 01 01 14) – 40 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი: 01 01 15) – 2 120 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი: 01 01 16) – 53 300 ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი: 01 02 02) – 32 000 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი: 02 09 12) – 103 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი: 02 09 15) – 44 600 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი: 02 09 18) – 33 300 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი: 02 09 19) – 190 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდ: 05 01 08) – 200 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი: 05 01 14) – 120 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი: 05 01 16) – 33 400 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი: 05 01 17) – 160 000 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 10 თებერვლის №12-032204167-03 **წერილით** წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი -1

თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 10 თებერვლის №12-032204167-03 **წერილით** წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 24 იანვრის №12-032202427-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 20 იანვრის №22.39.55 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი

ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 9 წინადადება - №01213442389-67; №012136031-67; №01220132568-67(№01220181827-67); №0121338135-67; №0121363800-67; №01220121287-67; №01220111812-67; №01220103535-67; №14-01213621966-16).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01213442389-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კოსმონავტების სანაპირო №63ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.05.004.102) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა (კონფიგურაციის ცვლილება).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.13.05.004.102 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო, გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით - სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით, №01.13.05.004.102 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოქცეულია გეგმარებით კარკასში (გკ), რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების კონცენტრაციის, ტერიტორიების გამოყენების ინტენსივობის, საზოგადოებრივი ცენტრების - აქტიური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი გარემოს არსებობის ნიშნით გამოყოფილ სტრუქტურულ ელემენტს, რომელიც ყალიბდება საერთო საქალაქო მნიშვნელობის ქუჩების გასწვრივ და რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ნაკვეთების პირველ რიგს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 20 დეკემბრის №01213542775 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის ნაწილზე, წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა (ადგილმდებარეობისა და კონფიგურაციის ცვლილება).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კოსმონავტების სანაპირო №63ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.05.004.102) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა (კონფიგურაციის ცვლილება) მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№012136031-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გოლოვნისა და შილდის ქუჩების გადაკვეთაზე, №86-ე საშუალო სკოლისა და №26-ე საბავშო ბაღს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.02.021.002) მოთხოვნილია

გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.17.02.021.002) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწთსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო არეალზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ), ხოლო, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 15 იანვრის №012201540 წერილის მიხედვით, გამომდინარე იქიდან, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შენობათა განთავსების სქემის პროექტისა და განმარტებითი ბარათის თანახმად, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განთავსება დაგეგმილია იმგვარად, რომ არ ხდება ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ადგილმონაცვლეობა (მოჭრა/გადარგვა), სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.17.02.021.002) ჩრდილოეთ-აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით რუკაზე, ხარვეზის სახით რჩება ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, ხორციელდება №01.17.02.021.002 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ, გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, გოლოვნისა და შილდის ქუჩების გადაკვეთაზე, №86-ე საშუალო სკოლისა და №26-ე საბავშო ბაღს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.02.021.002) და მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01220132568-67(№01220181827-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, შუამთის ქუჩა №21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.027.018) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 18 იანვრის №01220181395 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილება.

ამასთანავე, ფუნქციური ზონის ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა ხორციელდება №01.19.20.027.018 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, შუამთის ქუჩა №21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.027.018) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№0121338135-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ზაჰესის დასახლება, ნიკო კეცხოველის ქუჩა №24-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.12.02.718) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა.

ფრაგმენტული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების თავიდან არიდების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსორტისა და ურბანული სააგენტოს ინიციატივით, ფუნქციური ზონის ცვლილება განიხილება მომიჯნავე მიწის ნაკვეთებთან ერთად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 17 დეკემბრის №18-01213512297 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზაჰესის დასახლება, ნიკო კეცხოველის ქუჩა №24-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:

№72.12.02.718) და მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№0121363800-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანი, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №48-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13..18.183) მოთხოვნილია სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ფრაგმენტული ხასიათის ზონის ცვლილების თავიდან არიდების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ფუნქციური ზონის ცვლილება განიხილება მომიჯნავე ტერიტორიის ნაწილზეც.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 17 იანვრის №18-01220171286 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო არეალში განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანი, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №48-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13..18.183) მიმდებარე ტერიტორიაზე სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია (ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც).

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01220121287-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №2ზ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.141) მოთხოვნილია საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ისა (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 17 იანვრის №01220171415 წერილის შესაბამისად, საპროექტო მონაკვეთი ფაქტობრივად წარმოადგენს გზას და მასზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების შემთხვევაში, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ხდება ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა და იქმნება ქუჩათა ქსელი.

ქუჩათა ერთიანი ქსელის შექმნისა და დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში არსებული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების

სააგენტოს ინიციატივით, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ისა (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება ხორციელდება №01.19.36.014.141 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №2ზ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.141) და მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ისა (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01220111812-67 განცხადებით**, ქალაქ თბილიში, დაბა წყნეთი, გორგასლის ქუჩა №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.129.013) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 13 იანვრის №01220131608 წერილის შესაბამისად, №01.20.01.129.013 საკადასტრო ერთეულის საკადასტრო საზღვრის ფარგლებში, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება მიზანშეწონილია. ამასთან, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დაკორექტდეს და გავრცელდეს ფაქტობრივი გზისა და ტროტუარის მონაკვეთზე №01.20.01.135.100 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთ საზღვრიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, №01.20.01.135.008 საკადასტრო ერთეულის საზღვრამდე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გორგასლის ქუჩა №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.129.013) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ითა (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „თ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№01220103535-67 განცხადებით**, ქალაქ თბილიში, გლდანში, ლიბანის ქუჩა №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.03.004.044) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის გაცვლა/განკარგვის შესაძლებლობას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 17 იანვრის №01220171277 წერილის მიხედვით, კომპეტენციის

ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

ცვლილების შედეგად მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიდებარედ არსებულ მცირე მონაკვეთზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილიში, გლდანში, ლიბანის ქუჩა №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.03.004.044) და მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ი" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - **№14-01213621966-16 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3 მე-III მიკრორაიონი; მე-II მიკრორაიონი; საქართველოს გაერთიანებისთვის მებრძოლთა ქუჩა, გამყოფი ზოლში, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.015.024 და მიმდებარე ტერიტორია; №01.19.39.026.007, №01.19.39.010.015, №01.19.39.023.260 და მიმდებარე ტერიტორია; №01.19.20.001.158, №01.19.20.001.154, №01.19.20.001.062, №01.19.20.001.156, №01.19.20.001.018, №01.19.20.001.124 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომართვის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული მიწის ნაკვეთებისთვის მიენიჭებულ იქნას უკვე განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი პროექტების შესაბამისი ფუნქციური ზონები (2021 წლის 28 დეკემბრის №03-032136245 წერილი).

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებებით ხდება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებული ხარვეზების გამოსწორება და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 11 იანვრის №18-0122011121 წერილით სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ არეალებზე, საპროექტო წინადადების შესაბამისად განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 20 იანვრის №61-0122020300 წერილის მიხედვით,

არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიებზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ცვლილებას ექვედებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 24 იანვრის **№12-032202427-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 9 წინადადება - №01213442389-67; №012136031-67; №01220132568-67(№01220181827-67); №0121338135-67; №0121363800-67; №01220121287-67; №01220111812-67; №01220103535-67; №14-01213621966-16) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა -2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 24 იანვრის **№12-032202427-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 9 წინადადება - №01213442389-67; №012136031-67; №01220132568-67(№01220181827-67); №0121338135-67; №0121363800-67; №01220121287-67; №01220111812-67; №01220103535-67; №14-01213621966-16) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 27 იანვრის №12-032202743-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 26 იანვრის №22.75.91 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 7 წინადადება - №01220182777-67; №01213543099-67; №0121358897-67; №14-01213621966-16; №01213443373-67; №0122012954-67; №01212953055-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01220182777-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ახვლედიანის ქუჩა №2, შესახვევი №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.17.001.094) ნაწილზე მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 2-ის (ს-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამრეწველო ზონა 2-ში (ს-2) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები, ასევე, ნაგავსაყრელის ტერიტორიები.

№01.19.17.001.094 საკადასტრო ერთეულზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „ეკოსერვის ჯგუფისთვის“ (ს/კ: 404553666) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მერქნული რესურსისა და ბაღის/პარკის ნარჩენების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2 ნოემბრის №20.1295.1574 განკარგულების საფუძველზე კომპანიისათვის შემდგომი განკარგვის უფლებით, უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემული კომპანიის მიერვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიების მოვლა-პატრონობის შედეგად წარმოქმნილი, მერქნული რესურსისა და ბაღის/პარკის ნარჩენების გადამუშავება, მულჩის და კომპოსტის საწარმო/საწყობის და შესაბამისი დამხმარე კონსტრუქციების განთავსება, რაც არ წარმოადგენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესს.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01213543099-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დ. გურამიშვილის გამზირი №84-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.01.003.132) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 24 იანვრის №01220241959 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№0121358897-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, დიდი დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.038.599) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.12.07.008.031) სამხრეთით, ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). ზემოაღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.07.008.031) სამხრეთით გამწვანებული ტერიტორიების თემატურ რუკაზე არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

აზრი გამოთქვა: ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, **№012203313-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დასახლება სან-ზონა, კორპუსი 19ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.07.008.031) მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნის საკითხის განხილვის დამატებითი შესწავლის მიზნით გადადების მიზანშეწონილობის შესახებ.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№012203313-67 განცხადების** განხილვის გადადება.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01220313069-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მ/რ, კორპუსი №304-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.026.029) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მ/რ, კორპუსი №304-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.026.029) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების

თემატური რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნას, პირდაპირი განკარგვის ფორმით ადგილმონაცვლეობის მიზნობრიობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 9 თებერვლის №0122040198 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.026.029-ის ნაწილი) მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

აზრი გამოთქვა: ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, **№01220313069-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მ/რ, კორპუსი №304-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.026.029) ნაწილზე მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნის საკითხის განხილვის დამატებითი შესწავლის მიზნით გადადების მიზანშეწონილობის შესახებ.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№01220313069-67 განცხადების** განხილვის გადადება.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01213492489-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. "ნუშის ბაღი"-ს ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.268) მოთხოვნილია სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

№01.20.01.010.268 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით ვრცელდება სატყეო ზონა.

ფრაგმენტული ხასიათის მქონე ცვლილებისგან თავის არიდების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა

მიმდებარე არეალზეც, კერძოდ: №01.20.01.010.409; №01.20.01.010.194; №01.20.01.010.440; №01.20.01.010.181; №01.20.01.010.312; №01.20.01.010.287; №01.20.01.010.209; №01.20.01.010.070; №01.20.01.010.193; №01.20.01.028.032; №01.20.01.010.317; №01.20.01.010.313; №01.20.01.010.441; №01.20.01.010.029; №01.20.01.010.179; №01.20.01.010.030; №01.20.01.010.392; №01.20.01.010.268; №01.20.01.010.123; №01.20.01.010.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, ასევე, №01.20.01.028.031 და №01.20.01.010.423 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 4 თებერვლის №18-01220352440 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის მიღებამდე არსებული ფუნქციური ზონის - სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) დაბრუნება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენა.

საპროექტო არეალი მოიცავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.20.01.010.423 და №01.20.01.028.031 საკადასტრო ერთეულების ნაწილსაც. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, 2022 წლის 9 თებერვლის №61-0122040442 წერილის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.268 და მიმდებარე ტერიტორია) სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნის საკითხთან დაკავშირებით დადებით პოზიციას აფიქსირებს.

აზრი გამოთქვა: ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, **№01213492489-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. "ნუშის ბაღი"-ს ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.268) მოთხოვნილი სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნის საკითხის განხილვის დამატებითი შესწავლის მიზნით გადადების მიზანშეწონილობის შესახებ.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№01213492489-67 განცხადების** განხილვის გადადება.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01220352623-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სადგურ ლილოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო

კოდი: №01.19.15.005.116) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.19.15.005.116) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა 2 (ს-2).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო არეალზე (საკადასტრო კოდი: №01.19.15.005.116) ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით, ხარვეზის სახით რჩება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). ზემოაღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.15.005.116) სამხრეთით, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ფაქტობრივი მდგომარეობით არსებულ გზაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და ასევე, სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, სადგურ ლილოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.15.005.116) და მიმდებარედ სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ითა (ს-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№0122034887-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ისნის რაიონი, საინგილოს ჩიხი №11/7/9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.317) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.317) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო არეალზე (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.317) ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 8 თებერვლის №01220393150 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით, გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე, ხარვეზის სახით რჩება ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. ზემოაღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.317) აღმოსავლეთით გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, ისნის რაიონი, საინგილოს ჩიხი №11/7/9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.317) და მიმდებარედ გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01220213388-67(№01220382969-67) განცხადებით**, ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო უბანში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.346, №01.20.01.010.340, №01.20.01.010.345, №01.20.01.010.347, №01.20.01.010.365, №01.20.01.012.073, №01.20.01.012.134, №01.20.01.012.444 და №01.20.01.012.152) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 1-ლი თებერვლის №01220323067 წერილის მიხედვით, მოთხოვნილი სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფარგლებში გზის მოწყობა შესაძლებელია სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის

დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის საფუძველზე, მესაკუთრისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციების გათვალისწინებით.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა უნდა შეთანხმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციასთან. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ საპროექტოდ გათვალისწინებული გზა ხვდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, საჭიროა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს შუალედური პასუხი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე საკადასტრო ერთეულებზე ხორციელდება ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 4 თებერვლის №18-01220352436 წერილით თანახმაა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი არეალის ფარგლებში განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

აზრი გამოთქვა: ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, **№01220213388-67(№01220382969-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო უბანში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.346, №01.20.01.010.340, №01.20.01.010.345, №01.20.01.010.347, №01.20.01.010.365, №01.20.01.012.073, №01.20.01.012.134, №01.20.01.012.444 და №01.20.01.012.152) მოთხოვნილი ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის

ფენის მოხსნის საკითხის განხილვის დამატებითი შესწავლის მიზნით გადადების მიზანშეწონილობის შესახებ.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№01220213388-67(№01220382969-67) განცხადების** განხილვის გადადება.

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01220312727-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მ/რ, კორპუსი №304-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.026.029) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის ნაწილის მოხსნა და მასზე ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მ/რ, კორპუსი N304-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.026.029) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის ნაწილის მოხსნას და მასზე ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის გავრცელებას, პირდაპირი განკარგვის ფორმით ადგილმონაცვლეობის მიზნობრიობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 9 თებერვლის №0122040197 წერილის მიხედვით, თანახმაა №01.19.39.026.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა და მასზე ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის გავრცელება.

აზრი გამოთქვა: ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, **№01220312727-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მ/რ, კორპუსი №304-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.026.029) ნაწილზე მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის ნაწილის მოხსნისა და მასზე ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის გავრცელების საკითხის განხილვის დამატებითი შესწავლის მიზნით გადადების მიზანშეწონილობის შესახებ.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№01220312727-67 განცხადების** განხილვის გადადება.

- განმარტებითი ბარათის „თ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო**

სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.007.067, №01.20.01.007.068 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 22 დეკემბრის №18-01213562774 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენა.

აზრი გამოთქვა: ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.007.067, №01.20.01.007.068 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილი სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნის საკითხის განხილვის დამატებითი შესწავლის მიზნით გადადების მიზანშეწონილობის შესახებ.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.007.067, №01.20.01.007.068 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილი სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნის საკითხის განხილვის გადადება.

- განმარტებითი ბარათის „ი" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - **№01220241470-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლებაში, 1 მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.022.095) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.022.095) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით

დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ვინაიდან, №01.11.13.022.095 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ სისტემური ხასიათით გავრცელებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ფრაგმენტული ხასიათის ცვლილების თავიდან არიდების მიზნითა და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია საპროექტო მიწის ნაკვეთზე მთლიანად გავრცელდეს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 2 თებერვლის №0122033585 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

- განმარტებითი ბარათის „კ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.08.03.719, №81.08.37.135 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 4 დეკემბრის №18-01220352493 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული (რზ) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.08.03.719, №81.08.37.135 და მიმდებარე ტერიტორია) სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია.

ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. **გადადებულ იქნას:**
   - **№012203313-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დასახლება სან-ზონა, კორპუსი 19ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.07.008.031) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნის საკითხის განხილვა;

- **№01220313069-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მ/რ, კორპუსი №304-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.026.029) ნაწილზე მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნის საკითხის განხილვა;
- **№01213492489-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. "ნუშის ბაღი"-ს ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.268) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილი სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნის საკითხის განხილვა;
- **№01220213388-67(№01220382969-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო უბანში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.346, №01.20.01.010.340, №01.20.01.010.345, №01.20.01.010.347, №01.20.01.010.365, №01.20.01.012.073, №01.20.01.012.134, №01.20.01.012.444 და №01.20.01.012.152) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნის საკითხის განხილვა;
- **№01220312727-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მ/რ, კორპუსი №304-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.026.029) ნაწილზე მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის ნაწილის მოხსნისა და მასზე ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის გავრცელების საკითხის განხილვა;
- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.007.067, №01.20.01.007.068 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილი სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნის საკითხის განხილვა.

2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 9 თებერვლის **№12-032204063-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01220352623-67; №0122034887-67; №01220241470-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 1

ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას:**
   - **№012203313-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დასახლება სან-ზონა, კორპუსი 19ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.07.008.031) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნის საკითხის განხილვა;
   - **№01220313069-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მ/რ, კორპუსი №304-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.026.029) ნაწილზე მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნის საკითხის განხილვა;
   - **№01213492489-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. "ნუშის ბაღი"-ს ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.268) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილი სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნის საკითხის განხილვა;
   - **№01220213388-67(№01220382969-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო უბანში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.346, №01.20.01.010.340, №01.20.01.010.345, №01.20.01.010.347, №01.20.01.010.365, №01.20.01.012.073, №01.20.01.012.134, №01.20.01.012.444 და №01.20.01.012.152) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნის საკითხის განხილვა;
   - **№01220312727-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მ/რ, კორპუსი №304-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.026.029) ნაწილზე მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის ნაწილის მოხსნისა და მასზე ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის გავრცელების საკითხის განხილვა;

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.007.067, №01.20.01.007.068 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილი სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნის საკითხის განხილვა.

2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 9 თებერვლის **№12-032204063-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01220352623-67; №0122034887-67; №01220241470-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 1 ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეცხრე (მიმდინარე) საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5-21 დადგენილების და ასევე, 2019 წლის 19 აპრილის №41-31 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" დადგენილების პროექტების შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 მარტის **№12-032107744-03** წერილის დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული №01210703673-67 განცხადება)

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სხდომაზე აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიამ, 2021 წლის 19 მარტის კომისიის სხდომაზე (ოქმი №80) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით, გადადო ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №17დ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.024.126) დამტკიცებული განაშენიანების

რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხის **(№01210703673-67 განცხადება)** განხილვა.

სხდომის დღის წესრიგის მეცხრე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01210703673-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №17დ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.024.126) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე "ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქუჩაზე შპს „ვარკეთილი 96"-ის მიმდებარედ, ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივი, მე-7 კვარტალი, კორპუსი №7-ის მიმდებარედ, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №272 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

„ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქუჩა, ვარკეთილის დასახლება III მასივი, №7 კვარტალი, №7 კორპუსისა და შპს „ვარკეთილი 96"-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.024.079) სავაჭრო კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად 2012 წლის 30 იანვარს გაცემულ №87 განაშენიანების რეგულირების გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის №170 განკარგულების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე სავაჭრო კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად გაცემულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში და საპროექტო არეალში დაფიქსირდა №01.19.20.024.126 საკადასტრო ერთეული (განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო ტერიტორიის ჯამურ ფართობად - 9399 კვ.მ.). ასევე, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.19.20.024.126 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ ხორციელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 16 მარტის **12-032107744-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული №01210703673-67 განცხადების (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 16 მარტის 12-032107744-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული №01210703673-67 განცხადების (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე